



866/3-53/22 2 02022022

866/3-53/22
02-02-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოში თავის ტვინის ღეროს კავერნომის (მოგრძო ტვინსა და ხიდს შორის მდებარეობით) დიაგნოზის შემთხვევებისა და ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის შესახებ. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ოპერაციების შედეგების შესახებ - ლეტალობის პროცენტულობა, დაუტოვა თუ არა ოპერაციამ პირს ჯანმრთელობის იმგვარი დაზიანება, რომელიც მის შეზღუდულ შესაძლებლობებთან იქნებოდა დაკავშირებული და სხვა.
2. რა სირთულის ქირურგიული მკურნალობაა მსგავსი წარმონაქმნის ამოკვეთა;
3. კონკრეტულად რომელი სამედიცინო დაწესებულებები აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს;
4. შესაბამისი კვალიფიკაციის/სპეციალიზაციის ლიცენზირებული ექიმების (ნეიროქირურგები) სახელები და გვარები;

წინასწარ გიხდით მადლობას აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებისათვის.

აღნიშნული ინფორმაცია, გთხოვთ, მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030169906324122

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3860

11 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხილულ იქნა თქვენი სადეპუტატო შეკითხვა, რომელიც შეეხება ნეიროქირურგიულ საქმიანობას და ნეიროქირურგიულ ჩარევას.

ნეიროქირურგიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მივმართეთ სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. გიგზავნით სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (იხ. დანართი).

რაც შეეხება შეკითხვაში ნახსენებ კონკრეტულ ნეიროქირურგიულ ჩარევას, აღნიშნულის თაობაზე მივმართეთ სამინისტროს ექსპერტს საექიმო სპეციალობაში „ნეიროქირურგია“, ბატონ ლადო წიქარიშვილს. ექსპერტის მიერ ინფორმაციის მოწოდებისთანავე, გეცნობებათ დამატებით.

პატივისცემით,

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერა/
შტამპი
ელმძღვანელად



ეკატერინე ადამია



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების
სააგენტო

LEPL Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities



KA030223176388022

საქართველო, თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, +955 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge
144 Ak. Tsereteli Ave, 0119, Tbilisi, Georgia, +995 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge

№ 02/1899

08 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს, პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეკატერინე
ადაშიას

ქალბატონო ეკატერინე,

სააგენტოში განხილული იქნა თქვენი წერილი (N01/3172, 07.02.2022წ.). აღნიშნული წერილის მე-3 და მე-4
კითხვების პასუხად, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, განვდით შემდეგ ინფორმაციას:

3. „თავის ტვინის ღეროს კავერნომის ოპერაცია“ უნდა შესრულდეს სტაციონარულ დაწესებულებაში, რომელიც
ფლობს ნებართვის დანართს -ნეიროქირურგია. უწყებრივი სანებართვო რეესტრის მიხედვით, საქართველოში
აღნიშნულ დანართს ფლობს 90 სტაციონარული დაწესებულება (იხილეთ დანართი).

4.ექიმთა სახელმწიფო სასერტიფიკაციო რეესტრის მონაცემების მიხედვით, სპეციალობაში
„ნეიროქირურგია“, სერტიფიცირებულია 135 ექიმი.

რაც შეეხება, აღნიშნულ სპეციალობაში სერტიფიცირებული პირების თაობაზე ინფორმაციის (სახელი,
გვარი) მოწოდებას, როგორც მოგეხსენებათ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე
მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაავრცელოს პირის პერსონალური მონაცემები
თვით ამ პირის თანხმობის გარეშე“. ვინაიდან, მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს,
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ექვემდებარება გასაჯაროებას.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელმფთხონულად



კახაბერ შალიკაძე